ხელშეკრულება N __

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი **SPA** _____)

ქ. თბილისი 2021 წ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N72, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205339141), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის **ბაკური ელისაშვილის** სახით და

მიმწოდებელი: ი/მ, ფ/პ, შპს, სს “XXXXX“, **საიდენტიფიკაციო კოდი:** XXXXX

მისამართი, ტელეფონი: XXXXX **ტელ:** XXXXX

აღმასრულებელი დირექტორი: XXXXX

საბანკო რეკვიზიტები: XXXXX **ბ/კ:** XXXXX **ა/ა:** XXXXX

ორივე ერთად აღიარებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ **SPA_____** ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოფელ დიდ ლილოში მდებარე სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ობიექტზე სათბურის სადემონტჟო სამუშაოების შესყიდვა (CPV45100000), ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის (დანართი №1) შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **_____ ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, გარდა სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნის ღირებულებისა.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება, ხელეშკრულების გაფორმებიდან ----- დღეში.

ბ) წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია („ფორმა N2)“

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით (შემდგომში „ხარჯთაღრიცხვა“) გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით;

ე) უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების დაცვა;

ვ) სამუშაოების შესრულებამდე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მასალების, დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან, აღნიშნული შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე მის გარეშე;

ზ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით (მათ შორის ადამიანური რესურსით, მექანიზმებით, მოწყობილობებით და მასალით). აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მდგომარეობის გამოსწორება;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

გ) სამუშაოების საბოლოო შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია (ფორმა 2) წარუდგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ აღნიშნულ დოკუმენტაციაში ასახულ სამუშაოებზე დასკვნის გასაცემად.

5. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით.

5.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს უსაფრთხო, ეკოლოგიურად მისაღები გზით და მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მუშაობით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვერის გავლენა. აგრეთვე, სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარემოს სათანადო აღდგენა.

5.3. ვინაიდან შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სადემონტაჟო სამუშაოები, საგარანტიო ვადა არ მოითხოვება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მიერ სამუშაოების შესრულების ვადების, ხარისხის და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც სამუშაოების შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. **ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლსა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ადმინისტრაციული და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი გიორგი შაიშმელაშვილი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოს ღირებულება.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუდებული) ან დაგვიანებით შესრულებული სამუსაოს ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით, რომლებიც გამორიცხავენ ობიექტის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ან შემსყიდველის მხრიდან მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას ობიექტის საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

6.6. შესრულებული სამუშაოს, მათ შორის ეტაპობრივის, მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების

ხელმოწერით ფორმა N2 საფუძველზე.

6.7. ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, სამუშაოების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.8. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე) და თანმდევი დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) გამოწერიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული იქნება მე-9 მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ აღნიშნული საჯარიმო თანხის გადახდიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო ორგანოდან უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში თუ 9.1 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევებისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **5%**-ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, სრულად შეუსრულებლობის ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით** მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით**.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ხელმოწერით.

10.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობისას, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტაზე, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიყენოს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს _____

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია ელექტრონულად

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებლი
სუს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი N72 ტელეფონი: 2 41 25 37 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 ს/კ: 205 339 141	
სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე ბაკური ელისაშვილი	